ჰაიდელბერგცემენტი
HEIDELBERGCEMENT
GEORGIA

№ HCG/226 9.22

შპს ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია
ტელ: +995 32 2 474747

სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს
გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტს

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
19 09 2022 წ.
№ 4962

19 სექტემბერი, 2022

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მიხედვით, სკრინინგის პროცედურისთვის წარმოგიდგენთ შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია"-ს კასპის ცემენტის ქარხნის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (კირქვის სეპარირებულად დაფქვის) პროექტს. თქვენი წერილის (N 21/4339 4339-21-2-202208101524 10/08/2022) საფუძველზე გავასწორეთ სკრინინგის ანგარიში არსებული ხარვეზები და წარმოგიდგენთ განახლებულ სკრინინგის განცხადებას.

N 21/4339 წერილში ასევე მოთხოვნილი იყო: *„წარმოდგენილი სკრინინგის განცხადებით განსაზღვრული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია აისახოს სააგენტოს N26 სკოპინგის დასკვნის საფუძველზე წარმოსადგენ გზშ-ის ანგარიშში. ზემოაღნიშნულის განუხორციელებლობის შემთხვევაში წარმოდგენილი იქნეს სათანადო დასაბუთება."*

სააგენტოს მიერ გაცემული *N26 სკოპინგის დასკვნა ეხება ალტერნატიული საწვავის გამოყენებას (კლინკერის წარმოება) და ცემენტის წარმადობის გაზრდას ცემენტის წარმოებაში რაიმე ტექნოლოგიური ცვლილების გარეშე (დანამატების და სამუშაო საათების გაზრდის ხარჯზე). ხოლო წინამდებარე სკრინინგის ანგარიში ეხება ცემენტის დაფქვის ახალი ტექნოლოგიის გამოყენებას (სეპარირებული დაფქვა). სკოპინგის ანგარიშში განხილული და თანდართულ სკრინინგის ანგარიშში განხილული პროექტები ერთმანეთისგან დამოუკიდებელია.*

გთხოვთ, შეაფასოთ, ექვემდებარება, თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

*დანართი 1: სკრინინგის ანგარიში*

*დანართი 2: SHP ფაილები*


**გიორგი ჩალაძე**

**გარემოს დაცვის მენეჯერი**
შპს ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია
ს/ნ: 230866435
ალექსანდრე ყაზბეგის გამზ. N21,
თბილისი, 0160, საქართველო
giorgi.chaladze@heidelbergcement.ge
www.heidelbergcement.ge